კვირა, 20 თებერვალი 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.




№ 7 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

## ნ ი ა ვ ს

ნიავო! მთა ბარს ევლები ფრენით,
სად არ ყოფილხარ, რა არ გინახავს..
მითხარ გეთაყვა, ველური ენით,
ჩემი ღვთაება არ დაგინახავს?
მე მას დავეძებ დღისით და ღამით,
მაგრამ ვერ ვნახე ვიხრჩობი შხამით.

ეგებ იცოდე, სად არის, სადა,
მშვენიერება ქვეყნის და ცისა,
აქ დაცქრიალობს, თუ დაფრენს ცათა
ელერსება სხივები მზისა?
მინდა გავიგო იმისი ბინა
ვინც მარად მახსოვს, მიდგას თვალ წინა!.

რაო?!. ის ტყვეთ ყავს ბოროტ ბელზებელს
შავ-ბნელ საკანში გამომწყვდეული;
ულვთოთ ტანჯული, ჩემსკენ იწვდის ხელს
მაგრამ არ უშვებს, არა, წყეული.
და გულ მოკლული კვნესის და გმინავს.
ლამაზ თვალებში ცრემლი უბრწყინავს?!

ოხ! თუ ასეა ცელქო ნიავო!
გემუდარები შემასხი ფრთები,
თან წამიტანე, ლაღათ მფრინავო
გადამატარე ზღვები და მთები
მსურს თავგანწირვით მისკენ ვიარო,
ვიხსნა, ან ხვედრი გავიზიარო!!

**ვ რუხაძე.**

## ქართველი ახალგაზრდა მწერლები.

I



**ვარლამ რუხაძე.**

ვარლამ რუხაძე დაიბადა 1874 წელს ს. ქვიტირში (ქუთაისის მაზრა). ვარლამის მამა იყო მეღვინე და ქუთაისში სამიკიტნო დუქანი ჰქონდა. ცხრა წლამდე ბავში სოფელში იზრდებოდა. რვა წლისა რომ გახდა, დედამ დაუწყო წერა-კითხვის სწავლება. სახელმძღვანელოს და-

ბეჭდილი წიგნი კი არ შეადგენდა, არამედ მონაწერი წერილები. პატარა ვარლამი მეტად ცელქი და დაუდგრომელი იყო, ანბანის გაზეპირებამ ის ვერ დააინტერესა და დედის მეცადინეობამ უნაყოფოთ ჩაიარა. როცა ზაფხულზე სოფლათ ჩამოვიდა ბართლომე მოსეშვილი, რომელიც მაშინ სემინარიაში სწავლობდა, ვარლამი მას მიაბარეს, როგორც ნათესავს და ამგვარათ ვარლამმა წერა-კითხვა ისწავლა. როცა ვარლამმა დაინახა, თუ როგორ შენდებოდა ასოებიდან სიტყვა და სიტყვებიდან აზრი, ის ძალიან დააინტერესა, კითხვა შეუყვარდა. რადგანაც ხელმძღვანელი არა ჰყავდა, ის კითხულობდა ყოველისფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. ვარლამის მამა სწავლა-განათლებას მაინც და მაინც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. „მე არაფერი მისწავლია, მაგრამ პურს ვჭამო“, ამბობდა ხოლმე ის. მან გადასწყვიტა, შვილიც თავის ხელობაზე გაეზარდა, ამიტომ ცხრა წლის ვარლამი ქუთაისში წაიყვანა თავის სამიკიტნოში. ვარლამს აქ ხელში ჩაუვარდა აკაკის და ილიას ლექსები, ყარამხანიანი, არსენას ლექსი და სხვ. კითხვამ ის კიდევ უფრო გაიტაცა, მაგრამ სამიკიტნოს პირობები და მოქეიფეთა დრიალი პატარა ვარლამს ხელს უშლიდენ და თვითგანვითარების ნებას არ აძლევდენ. 1886 წელს ვარლამის მამამ სამიკიტნოს თავი დაანება, რადგანაც საქმე ცუდათ წაუვიდა და სოფელში დაბრუნდა.

ვარლამი ორ წელიწადს დარჩა სოფლად და ამ ხნის განმავლობაში არაფერი არ წაუკითხავს, რადგანაც წიგნებს ვერა შოულობდა. შემდეგ ის განშორდა სოფელს და ცხრა წლის განმავლობაში მსახურებდა სხვა და სხვა ალაგს— ფოთში, სოხუმში, ბათუმში. ამ ხნის განმავლობაში ვარლამს დღისით თითქმის სრულებით არა ჰქონია მოცლა და იძულებული იყო სწავლის სურვილი ღამე დაეკმაყოფილებია ხოლმე: როცა საქმე გათავდებოდა და ყველა ძილს მიეცემოდა, ვარლამი მაშინ დაიწყებდა წიგნების კითხვას და ხშირად მთელი ღამეები გაუტარებია წერა-კითხვაში. 1897 წელს ვარლამი დაბრუნდა ისევ ქუთაისში და ამხანაგთან ერთად გახსნა ღვინის საწყობი. აქ მას მეტი დრო ჰქონდა თვით-განვითარებისათვის. 1902 წელს ვარლამი ბათუმში გადასახლდა და დღესაც იქ სცხოვრობს.

ვარლამმა ლექსების წერა დაიწყო 1892 წელს. რადგანაც პირველ ხანებში ვარლამი ჩვენი ვიწრო პატრიოტული მწერლობის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, ამიტომ მისი ნაწერებიც ამგვარი მიმართულებისა იყო. ამ ხანას ეკუთვნის „ცხვრები და დათვი“, დანარჩენი ლექსები კი არ დაუბეჭდია. 1898 წლიდან ვარლამ რუხაძის პოეზიაში იწყება ახალი ხანა, რომელიც ახასიათებს მას, როგორც მუშა ხალხის მისწრაფებათა გამომხატველს.

როდესაც თქვენ იცნობთ ამა თუ იმ მწერლის ცხოვრებას, კიდეც რომ არ იცნობდეთ იმის ნაწერებს, შეგიძლიათ, დაახლოებით გამოიცნოთ მათი საერთო ხასიათი და მიმართულება. ვარლამ რუხაძე დაიბადა ღარიბს ოჯახში, გარშემო სულ სიღარიბეს და გაჭირვებას ჰხედავდა, სცხოვრობდა ისეთ წრეში, რომელიც სხვა და სხვა შევიწროვებას და დაჩაგვრას იტანდა. რა შედეგი უნდა მოყოლოდა ყოველივე ამას! ვარლამს უნდა შეეყვარებია დაჩაგრულნი და ღარიბნი, ზურგი ექცია იმ ცხოვრებისათვის, რომელშიაც უსამართლობის მეტი არაფერია და მომავალზე დაემყარებია თავისი იმედები და მართლაც ყოველივე ამას ჩვენ ვხედავთ ვარლამ რუხაძის პოეზიაში.

ვარლამი უმთავრესათ ლირიკოსია, — ის გამოხატავს იმ გრძნობებს, იმ ფიქრს, რომლებსაც მასში იწვევს ცხოვრება. პოეტი უკვირდება თანამედროვე წყობილებას და მიგ ძალმომრეობის, მონობის, დაჩაგვრის, გარყვნილებისა და სიღატაკის მეტს ვერასფერს ჰხედავს. ყოველივე ეს ხდება იმისათვის, რომ ერთი მუჭა მუქთახორები ფუფუნებაში ატარებენ თავის ცხოვრებას. მუქთახორების განცხრომას მსხვერპლათ ეწირება უმრავლესობის . კეთილდღეობა და სიცოცხლეც კი. გარემო ოხვრა-კვნესა ისმის, ტანჯულთადმი ხარხარი ბედნიერათა. ყოველივე ეს პოეტს გულს უმღვრევს, მაგრამ სასოწარკვეთილებას კი ვერ აყენებს. პოეტს ღრმათა სწამს, რომ ყოველისფერი წარმავალია, მხოლოთ ჭეშმარიტება საბოლოოთ იმარჯვებს და რჩება. ჭეშმარიტება კი პოეტის შეხედულებით იმაში მდგომარეობს, რომ ყალბი ცხოვრება ტანჯვისა, სიღატაკისა და ძალმომრეობისა მოისპობა და მის ალაგას დამყარდება საერთო ბედნიერება თანასწორობაზე და საერთო შრომაზე აგებული. რაკი პოეტს ღრმათ სწამს ჭეშმარიტების ძლევა-მოსილება, მის გულს სასოწარკვეთილება აღარ ეკარება. ის ჰხედავს სხვის ტანჯვას და თითონაც იტანჯება; მას ესმის სხვისა ოხვრა-კვნესა და თვალებზე ცრემლები ერევა, მაგრამ თავის რწმენას არ ჰკარგავს. ის იგო[illegible] ძალას და ამხნევებს ყველა ტანჯულსა და დაჩაგრულს: *მომავალი მხოლოთ ჩვენიაო.*

მომავლის მოსაახლოებლათ საჭიროა მოქმედება, საჭიროა ბრძოლა და პოეტი იწვევს ყველა ტანჯულს აქეთკენ.

ვარლამ რუხაძის პოეზიის ერთ დიდ ღირსებას ეს სალი ოპტიმიზმი შეადგენს. ცრემლები და ოხვრა მისი საქმე არ არის. ის ჰხედავს ცხოვრებაში მთელ სისაძაგლეს და ყველა უსამართლობას, მაგრამ ყოველივე ეს მას მხოლოდ უსამართლობასთან საბრძოლველად იწვევს, და გულს კი ვერ უტეხს, რადგანაც პოეტმა იცის, რომ ადრე თუ გვიან დღევანდელ უკუღმართ ცხოვრების ალაგას დამკვიდრდება საერთო ბედნიერება.

ცხოვრების სისაძაგლეთა გადმოშლა, მძლავრი პროტესტი, სიმღერა ბრძოლისა და ღრმა რწმენა უკეთესი მომავლისა და ჭეშმარიტების ძლევამოსილებისა, — აი მოკლეთ ვარლამ რუხაძის პოეზია.

ენა ვარლამ რუხაძის პოეზიისა მარტივია, ხალხურია, გარეგანი ფორმა ლექსისა მეტად მუზიკალური.

**ივ. გომართელი.**

—

რაც ვარლამმა ლექსების წერა დაიწყო, ჯერ მას კალამი ძირს არ დაუშვია. ის იღებს მონაწილეობას ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ამ უკანასკნელ ხანებში ორჯერ გამოვიდა ცალკე წიგნათ მისი ლექსთა კრებული. მიუხედავათ იმისა, რომ ვარლამის ცხოვრების პირობები ჯერ ოდნავადაც არ შეცვლილა, მას ღვინის სარდაფში მუშაობისათვის ვერ დაუღწევია თავი, მისი გონებრივი მსოფლმხედველობა ფართოვდება, წინ მიდის. ეს აშკარათ ეტყობა მის უკანასკნელ ლექსებს. ვარლამი ჯერ ახალგაზრდაა, ეჭვი არაა ის უფრო განავითარებს თავის ნიჭს, მისი პოეზია მძლავრათ გაშლის ფრთებს და ქართულ მწერლობაში საპატიო ადგილს დაიჭერს. პოეტის სულისკვეთება მისი იდეალი, ის, რასაც კვნესით დაჰქვითინებს მისი ქნარი აშკარად გამოხატულია აქვე მოყვანილ ლექსში. ამ ლექსში ჩანასახულია ვარლამის სული, აზრი, გრძნობა და გული.

**ირეთელი.**

# წარსულს

(გლეხთა განთავისუფლების 50 წლის შესრულების გამო).

მწუხარე ფიქრით, განუსაზღვრელ სულის ტკივილით
მწარე წარსულო, შავ არწივათ მოგევლინები,
მინდა მტარვალთა საფლავები შევძრა ყივილით,
ზარათ შევსცვალო საედემო ჩემი ჰიმნები.
შენის ცხოვრების, წავიკითხე უკვე რვეული
და, ზედ აღვზარდე, ავაყვავე შურისძიება,
ვით შეეთვისოს შენს ზარ-მეხსა სული ეული,
ან ვითა შესძლოს წუთიერად იქ განსვენება?
მაგ დახავსებულ, ბნელით მოცულ ნანგრევთა შორის
სიკვდილის ჩონჩხი შავ ემბლემათ ამოზიდულა,
მიწას აჩნია ზედ ბეჭედი მზაკვრულ ამბორის:
თუ ბეჩავ მაშვრალთ საუნჯენი ვით გაყიდულა.

დროვ უკულმართო! ბოროტებას ურწყავდი აკვანს,
ბატონის ფეხთ-ქვეშ სათნოება ილესებოდა,
გარყვნა, დაცემა შეადგენდა შენს სატრფო საგანს,
მონის ყვავილი შენს მკლავებში ოხვრით სჭკნებოდა.
მიჰქროდნენ წელნი ჯოჯოხეთის რყევა-ზანზარში,
მიწა ყრუ იყო. . ცა რა არი, რომ მას სმენოდა?
ლხინი სუფევდა ქვეყნის სევათა ეზო-ბაღნარში,
იქ, გლეხთა ქოხებს შავი ძაძა წამოჰფენოდა.
ოჰ, ვინც მიგტირის საზიზღარო მწარე წარსულო,
ფუ, მის სახელსა მიწის პირად გასწორებულსა,
გაჰქრის მგოსანი ერის შვილი, ფლიდი, უგულო,
თუ შენ გიძღერებს ჩანგს საყვარელს, ცით ბოძებულსა.

თუნდ აღგემართა შენ თვით კოშკი უკვდავებისა
მომავლის სვეტად, საუკუნოდ დაუვიწყარი,
მას დაჩრდილავდა ისტორია კაცთ მონებისა,
ტანჯვის თავდებათ მომავალსთან შენაფიცარი!
ეჰა, დროვ მრუდო, სულის ტეხით მოსაგონარო,
ჟამსა მწუხრისას, როს თვალთ წინა წარმომიდგები,
ილვიძებს შური, მძაგს სამშობლო, მძაგს მთლად სამყარო,
მსურს სოფლით გაქრა, სულის ზღუდეთ ვერ ვურიგდები.
და, შავ იქვებით გათანგული ვშორდები აწმყოს,
აქაც ის ხუნდი მეჩვენება, იგივ სამარე:
ოცნებას შევსთხოვ მომავალი რომ დამანახოს, —
ჩემი სიცოცხლის სიმბოლოა — აღთქმისა მხარე!

**ნ. ჩხიკვაძე.**

# ბეროს ნაამბობი

(ბატონ-ყმობის დროის ამბავი)

— ეჰ, ჩემო, ბიძია,—დაიწყო მოხუცმა ბერომ—განა ეხლანდელ ახალგაზრდებს შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ის საშინელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩვენ, გლეხები ვიყავით ბატონ-ყმობის დროს? მართალია ბევრი თქმულა და დაწერილა ამის შესახებ, მაგრამ სულ სხვაა, ჩემო ბიძია, როცა საკუთარ ზურგზე გამოსცდი ყველაფერს. დღესაც ვერ არის გლეხობა კარგ ყოფაში, მართალია წინანდებურათ ბატონები არა გვყავს, ყმები არა ვართ მარა, რა გამოვიდა, იმისი არ იყოს გინდა „მგელს შევუჭამივარ და გინდა მგლის ფერ ძალლსო“. ისეა ჩვენი საქმე, რა ბატონ-ყმობა და რა ეხლანდელი დრო. ალბათ ღმერთს დაუწესებია ასე, რომ გლეხმა მხოლოდ მარტო სამარეში მოისვენოს. როცა გლეხი იბადება შუბლზე აწერია „შენს სიცოცხლეში იტანჯე, ყველას მონა იყავი, სვი შენს სიცოცხლეში ცხოვრების შხამი და მოისვენე მხოლოდ მაშინ, როცა მიწას ამოგაფარებენ“—აგერ ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ბატონ-ყმობა გადავარდა და ამ ხნის განმავლობაში გლეხთა უბედური მდგომარეობა ოდნავათაც არ შეცვლილა, ვართ თავ მირგული სხვის მიწაში, ჩავღირღიტებთ, წაგვიწვდია მზისგან დამწვარი კისერი და სხვები კი ჩვენის ნაოფლარით ძღებიან. ჩვენთვის აღარც ღმერთია და აღარც კაცი.—მოხუცმა ბერომ მძიმეთ ამოიხვნეშა და დაჩუმდა.

მეტათ მიყვარდა მოხუც ბეროსთან ბაასი, ის იქნებოდა ასე 80 წლის, თეთრი მოგრძო წვერი, ასეთივე თმა, გრძელი წარბები და ჩაღრმავებული გონიერი თვალები მეტათ მიმზიდველ სახეს აძლევდენ მას. ლაპარაკობდა დინჯათ და ტკბილის, შემპარავი ხმით, ხშირათ მოვუჯდებოდი გვერდით და ვსტკბებოდი მისი ნაამბობით.

ცოტა ხნის შემდეგ ბერომ თავი აილო, მისი თვალები რაღაც არა ჩვეულებრივათ კრთოდენ. თვალი თვალში გამიყარა, მწარეთ გაიღიმა და დაიწყო:

— ბედნიერი ხართ ეხლანდელი ახალგაზრდები, არ იცით რა არის გაჭირვება, სასოწარკვეთილება, მე გიამბობ ერთ პატარა ამბავს, რომელმაც პატარაობიდანვე ღრმა კვალი დაასვა ჩემს გულს: მე მყავდა მამა ქრისტესია და დედა გიანე. ჩვენ ყმები ვიყავით, არც სახლი გაგვაჩნდა და არც კარი, როგორც საკუთრება ვსცხოვრობდით თავად ზურაბ გულფუყაძის საჯინიბოში. მამა ჩემი მეჯინიბეთ იყო, საჯინიბო იყო ჩვენი სახლი, ცხენებთან ერთათ ჩვენც ვსცხოვრობდით, მათთან ერთათ ვსუნთქავდით ჰაერს. ეს ტანჯული ქვეყანა მე საჯინიბოში ვიხილე, იქ დავიბადე. მრავალი სხვა ჩვენისთანები სცხოვრობდენ გულფუყაძის სახლში, ყველა ჩვენგანი მხოლოდ მოსახმარი ნივთი ვიყავით გულფუყაძის სურვილების ასასრულებლათ, ჩვენ ნება არ გვქონდა ჩაგვესუნთქა ზედმეტი ჰაერი, თუ ეს გულფუყაძის სურვილს ეწინააღმდეგებოდა. მყავდა დედა, მყავდა მამა, მაგრამ არც ერთის და არც მეორის ალერსი მე არ მიგრძვნია, გადიოდენ მთელი დღეები, არც ერთს ვხედავდი და არც მეორეს, დედა დილიდან საღამომდე სამოახლოში ტრიალებდა, მამა ცხენებს უვლიდა, ჩემთვის აღარაფერი იყო ქვეყანაზე. როცა დროს იხელთებდა, დედა შემოირბენდა, მაჭმევდა ძუძუს, მომიალერსებდა და ისევ გარბოდა. მხოლოდ ღამ-ღამობით ველირსებოდი დედის მკერდზე თავის მიდებას, ხშირათ ამასაც მონატრებული ვიყავი, მოხდებოდა, რომ ბატონს ძილი გაუტყდებოდა, დედა უნდა მოსჯდომოდა და ფეხები ეფხანა. ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრების დღენი. მეტად სასტიკი კაცი იყო გულფუყაძე. საკმარისი იყო ცოტა რამ არ მოსწონებოდა, რომ დამნაშავე სასტიკათ დაესაჯა. ხმა, კრინტის ამოღება არავის შეეძლო. მახსოვს ერთ დღეს ბატონი სადღაც წასასვლელად მოემზადა; მამაჩემს უბრძანა ლურჯა ცხენი შეეკაზმა. მამაჩემმა ერთგულათ გასწმინდა ცხენი, შეკაზმა და გამოიყვანა. გამობრძანდა ბატონი შეადგა უზენგში ფეხი და უნდა შემჯდარიყო, რომ უცბათ უნაგირი გადმოუტრიალდა. მამაჩემისთვის დაიქცა ქვეყანა, თავზარი დაეცა, ცახცახი დააწყებინა, მიხვდა კაი დღე არ მოელოდა.

— ააა! შე, სალახანავ! შე არამზადავ! ასე უნდა ბატონის ცხენის შეკაზმვა?!. ჰეი! დაჰკარით ორმოცი! -გაისმა უცბათ მისი მჭექარე ხმა.

საშინელი სანახავი იყო ამ დროს გულფუყაძე, საშინლათ გაწითლებული, პირზე დორბლ-მომდგარი, თვალებიდან ცეცხლს ყრიდა. მამაჩემი მზათ იყო წასაქცევათ. ბატონის დაძახილზე ხელად გაჩნდა რამდენიმე ბიჭი.

— ორმოცი!—მოისმა ბატონის ბრძანება.

ცოცხალ-მკვდარი მამაჩემი ფიცხლათ გააწვინეს მიწაზე და დასაკლავ ძროხასავით აბლავლეს. მისი ცოდვით ქვაც კი დაიწოდა. მე და საბრალო დედა საჯინიბოში ვიყავით მიმალული და ჩუმათ ვსტიროდით, როცა გვესმოდა საცოდავი მამის თავგანწირული ყვირილი. ამის შემდეგ მამა მძიმე ავათ შეიქნა, მარა ვინ დაუჯერებდა ავათ³ყოფობას, თავის საქმეს მაინც აკეთებდა, მაშინ ავათმყოფობა არ შეი-

ძლებოდა, გლეხი ავათ არ უნდა გამხდარიყო, ასეთი იყო ბატონის სურვილი. ასე ვიზრდებოდი ცხენებთან ერთად. ასე ვიქნებოდი რვა წლის, როცა მოხდა ისეთი ამბავი, რომელმაც წაუშლელი კვალი დასტოვა ჩემს გულში.

ერთ კვირა დღეს გულფუუაძეს ესტუმრა შორეული ნათესავი თავადი ამირინდო დურბინდაძე. ბატონს მეტათ ესიამოვნა სტუმრის მოსვლა და დიდებული ნადიმი გამართა. ასეთ სასიამოვნო დღის აღსანიშნავათ ყველა მოსამსახურეები განთავისუფლა და ნება მისცა იმ დღეს დასვენების. უნდა გენახათ რა ყოფა ჰქონდათ საბრალოებს, თითქო ადამიანის მოწყურებული იყვენ, თავი მოიყარეს ჩვენ საჯინიბოში და ერთი მეორეს ართმევდენ სიტყვას პირიდან, ყველა ცდილობდა ეთქვა თავისი თავ-გადასავალი, გაეზიარებია თავის ტანჯვა-წვალება. რაც იმ დღეს საზარი ამბავი ესმა ჩემს ყურებს თავის დღეში არ აღმომეფხვრება ჩემის მეხსიერებიდან. ამირინდო ორი დღე დარჩა ბატონთან. ორი დღის შემდეგ მოისურვა წასვლა. გამოუყვანა მამა ჩემმა მისი შავი მერანი, სიმართლე უნდა გითხრა ისეთი ლამაზი ცხენი ძვირი იქნება, მაგრამ ცხენზე უფრო ლამაზი იყო ამირანდოს მწევარი ძაღლი, რომელიც განუყრელათ თან დასდევდა მის ცხენს. გულფუუაძემ თვალი მოჰკრა ძაღლს და მისი შეძენის სურვილმა მთლად შეიპყრო, ის მეტის მეტი მოყვარული იყო ძაღლების.

— ამირინდო! რაც გინდა მთხოვე და ეს ძაღლი უნდა დამითმო—უთხრა მან დურბინდაძეს.

— ფეშქაში! უპასუხა ამირანდომ.

— მაშ, რაკი აგრეა, სამაგიეროთ მიფეშქაშებია შენთვის ჩემი მეჯინიბე, ასეთ მეჯინიბეს მთელ ქვეყანაზე ვერ იშოვნი, მეძნელება მისი გაცემა, მაგრამ შენთვის სულს არ დავიშურებ.

— გმადლობთ, გმადლობთ—უპასუხა ამირანდომ.

მამაჩემი მიხვდა მისს უბედურობას და მუხლებზე დაეცა.

— ბატონო! შეიცოდე ჩემი ცოლ-შვილი, მაპატიე, ნუ დამღუპავ.

— ჩუმათ, ხმა კრინტი! დაიღრიალა გულფუუაძემ—ადე ჩქარა გასწი!

— ნუ გამცვლი, ბატონო, ძაღლში, მაპატიე.

— დაჰკარით! გაისმა გულფუუაძის მრისხანე ხმა.

საბრალო მამაჩემი ხელათ გააწვინეს და ოცდაათი წკეპლა დაჰკრეს. არვინ ყურს არ უგდებდა მის თავგანწირულ ყვირილს. არც დედაჩემის ხვეწნა მუდარას მიაქციეს ყურადღება, მეც ტირილი დავიწყე, მაგრამ გულფუუაძემ მაგრათ ფეხი წამკრა და მიწაზე დავანარცხა. დედა მოვარდა და გულში ჩამიკრა ცოცხალ მკვდარი. მამაჩემი წამოაყენეს, ხელები გაუკრეს და ისე გაიგდეს წინ. მან მხოლოდ ერთი მოასწრო უკან გახედვა და საცოდავათ ამოიგმინა.

— გაიანე! ბერო! შენ იცი აბა...

საშინელი იყო ეს გამოხედვა, მის თვალებში უზომო მწუხარება და სასოწარკვეთილება იხატებოდა, ეს გამოხედვა ქვასაც აატირებდა, მაგრამ გულფუუაძის გულს სრულიად არ მიჰკარებია. ის თავის მწევარს ნაზათ ხელს უსვამდა ზურგზე.

მას შემდეგ მამა აღარ მინახავს, სად გაათავა თავის მწარე სიცოცხლე, რამდენი ტანჯვა-წამება გადაიტანა არაფერი ვიცით. ეს საზარი ამბავი ღრმა იარათ მაქვს გულზე და მისი გამთელება მხოლოდ სამარეს შეუძლია.

ასე დაათავა ბერომ თავისი პატარა ამბავი, ჯიბიდან ყალიონი ამოიღო გატენა თამბაქოთი, გააბოლა და ღრმათ ჩაფიქრდა.

**ირუთელი**

---

# სურათზე

ოცნება სარკეთ დავიდგი,
ვანათე გრძნობის ალითა
და შიგ გავცქერი შენს სახეს
უტყვი გონების თვალითა.
დღეს ვებრძვი მწარე ნაღველსა,
იმედს ვატარებ ხვალითა,
აწმყოში სისხლის ოფლს ვაქცევ,
ვნეტარობ მომავალითა...
გზა, შენსკენ წამომყვანელი,
შეკრულია კლდითა სალითა.—
სრული სიცოცხლის საუნჯე.
ვინ შექმნა მარტო ძალითა!

—

... შრომით დაღლილი, დამშვრალი,
გულით მოგაპყრობ თვალებსა,
სულს განმინათლებს ოცნება,
გრძნობისა ცეცხლი ძვალებსა.—
ბრძოლისა ცრემლით მოვიხდი,
მე, ჩემს მცნებას და ვალებსა...

—

ცეცხლი დამინთე გულშია,
მწველი სიცოცხლის მომდები!—
შენ გხადი, ჩემო საუნჯევ,
და თუნდ ზღვას მივეწოდები..
სალი კლდე ცრემლით დადნება,
მოსხლტება ქვა და ლოდები,—
შენს ცოცხალს ამბორს, ღვთაებავ,
თუნდ მკვდარიც დაველოდები!..

ვ. ტუქიშვილი.

## მზე ჩადის...

მზე ჩადის. ცის კიდური
უხმოდ, ნელ-ნელ ფითრდება,
ზღვის მკერდით ანაწური
მწვანე სხივი ინთქება..
მთები ლულავენ თვალებს,
თითქოს შიშით ჰკრთებიან,
შლიან ჩრდილთა დალალებს,
შავად იმოსებიან.

თან ზეფირმა დაჰქროლა,
ფოთოლთ შეახო ფრთები,
ქვითინით აათრთოლა
სუსხით მჭკნარნი, ობლები.
მოიტაცა ოცნება,
სულის ნაზი ჰიმნები,
გულს აღარ ესვენება,—
ატყდა შავი ფიქრები.

აგერ ზღვა აჩურჩულდა,
ტალღებმა იწყეს სრბოლა,
ჩუ ხმა ისმის!...—„აღსრულდა..
ისევ ბრძოლა და ბრძოლა!
შრრრ წინ! რის ძილი,
თავს დაგვწოლია სალი,
გადავლახოთ მანძილი,
უფსკრულს გავავლოთ კვალი“!

მთვარემ სხივები სტყორცნა,
ჩრდილი ისევ ასწურა,
ზვირთნი გრძნობით ჩაჰკოცნა,
მთის თხემი ვადასცურა.
გრძნობა, გრძნებით მომტაცა,
შორს, შორს გადამაფრინა,
ჩანგიც გაამამაცა,
მღერის: გასწიე წინა!

მეც ყურს ვუგდებ ზღვას და ჩანგს,
ვარყევ ცხოვრების უფსკრულს,
აღარ შევცვლი მე ჩემს ჰანგს,—
ბრძოლაში ვგრძნობ სიხარულს.
წინ მიძღვის ჩემი მთვარე,
მზე მუდმივად მინათებს,
მოსჩანს ოცნების მხარე,—
მისკენ მივფრენ.. მიტაცებს!...

**ნ. ჩხიკვაძე.**

---

## კვირიდან კვირამდე.

არსებობს, თურმე, ქ. ბაქოში ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალური განყოფილება. დიახ, არსებობს, არსებობს და იღწვის, იღწვის და არსებობს ქართველთა ერის საკეთილდღეოთ. განყოფილების სულის ჩამდგმელნი ნამდვილი წმინდა წყლის ქართველები არიან. მათი „პატრიოტიზმი“ ყოველივე საზღვარს აჭარბებს, მათი სამშობლოსადმი სიყვარული უმწვერვალეს წერტილამდე აღწევს. თავიანთ დაუღალავ შრომით იმათ უკვე გაასწრეს ჩვენ თფილისელ „პატრიოტებს“. ის რაც თფილისელ „პატრიოტებისთვის“ შეუძლებელი და მიუწდომელია, შესაძლებელია ბაქოელ „პატრიოტებისთვის“. რა არის ამის მიზეზი? რატომ წავიდენ წინ ბაქოელი „პატრიოტები?“ ეჭვი არაა იქ უფრო მეტი ენერგიის მქონე ხალხია, უფრო მეტს მოქმედობენ და საშვილისშვილო საქმეც წინ მიდის. თუ თფილისელ „პატრიოტებს“ ხან და ხან შუბლზე სიწითლე გადაჰკრავთ, ბაქოელ პატრიოტების რკინის შუბლი ერთხელაც არ გაწითლდება, თუ თფილისელ „პატრიოტებისთვის“ არსებობს ზნეობრივი ეთიკა და თუმცა ძვირათ, მაგრამ მაინც ანგარიშს უწევენ მას, ბაქოელებისთვის ეს უბრალო სიტყვაა. სხვა არაფერი. ეს ნათლათ დაამტკიცეს მათ 2 თებერვლის საღამოზე, როდესაც სრულიად უსაბუთოთ ჩვენი კორესპონდენტი არ შეუშვეს საღამოზე და სხვა გაზეთების წარმომადგენელს კი მოწვევის ბარათებიც დაუგზავნეს. თფილისელი „პატრიოტები“ ამას არ ჩაიდენდენ, მათი შუბლი გაწითლდებოდა, ბაქოელი „პატრიოტები“ კი ურცხვათ მოიქცენ, როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვატყობინებს, თურმე ორი მიუტევებელი ცოდვა ჩაიდინეს, ჯერ ერთი საღამოზე არ შეუშვეს და მეორე მოატყუილეს. თვით ბაქოელი „პატრიოტებიც“ დაგვეთანხმებიან, რომ ერთიც და მეორეც არა საკადრისი საქციელია.

—

არც ის არის საკადრისი, როდესაც ისეთ საქმეს ჰკისრულობ ადამიანი, რომლის არც ძალ-ღონე შეგწევს და არც ნიჭი გაქვს. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში მოსწავლეთა ტვინს მაინც აშუქებს ვინმე პედაგოგი გ—შვილი. ამ პედაგოგის ნამსახურობითი ფურცელში აღნიშნულია, რომ ჯერ ის ყოფილა პოლიციის აგენტათ (ეს უპირველეს ყოვლისა საჭიროა სამსახურში მყოფ ადამიანისთვის, სულ ერთია რა სამსახურიც უნდა იყოს) შემდევ ალმა-

ტება მიუღია და უბნის ზედამხედველათ დაუნიშნავთ, ცოტა ხნის შემდეგ უბნის ზედამხედველის მუნდირი დამოჯნის მოხელის კაკარდაზე გაუცვლია. რაღაც მიზეზის გამო აქედან მუნდირით და პენსიით დაუთხოვნიათ როგორც ფრიად დიდი ენერგიის მქონე ადამიანს იმედი არ დაუკარგავს, დაუჭერია ეგზამენი მასწავლებლის ხარისხზე და ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში ამოუყვია თავი. როგორც საპოლიციო ნაწილში გაზრდილს და გამოწრთობილს, ამ ვაჟბატონს პოლიციური აღზრდა შემოუღია სასწავლებელში. ცოტა ხნის განმავლობაში სწავლა-აღზრდის საქმე უმწვერვალეს წერტილამდე აუყვანია. უპირველეს ყოვლისა შემოუღია სასწავლებელში ახალი მეთოდი, ეგრეთ წოდებული „პოლიციური მასაჟი“, როცა სწავლის შემდეგ ბავშვები ბრუნდებიან სახლში, ზოგს ყური აკლია, ზოგს ცხვირი და ზოგს კბილი. მეტის მეტი ნაზელი, ბავშვები ხშირათ თითო კვირაობით ლოგინიდან ვერ დგებიან. ამით არ თავდება ამ თავდადებული პედაგოგის მოღვაწეობა, ამ დღეებში მას მიუღია პურიშკევიჩის მიერ შედგენილი ლანძღვაგინების სახელმძღვანელო და უკვე შესდგომია მოწაფეების მომზადებას. ეჭვი არაა ამ პედაგოგის მოღვაწეობას დააფასებს საზოგადოება.

---

არც ის არის საეჭვო, რომ ბ ნი „არარატელიც“ დააფასებს ბ ნ როსტომაშვილის რჩევა-დარიგებას. არარატელს სურვილი ჰქონია დაესტამბა გაზეთ „სინათლე“-ში ლექსი „სურვილი“ რამდენათმე სისრულეში მოუყვანა თავის განზრახვა და ლექსი გაუგზავნია, მაგრამ დაბეჭდვის მაგიერ „სინათლე“ ს მეორმოცე ნომერში ბ ნი როსტომაშვილი მამა-შვილურ დარიგებას აძლევს. ის უხსნის, რომ „ბრძოლა ბრძოლაა და საქმე—საქმე, რომ ბრძოლა მამლა ყინწების საქმეა და დეე მათ იყოყლოჩინონ, რომ ქართველებისთვის ბრძოლა საჭირო არ არის და არც სცალიათ ამისთვის, იგი უნდა მუშაობდეს და ახალ გზებს იკვლევდეს წინ სვლისას“... და სხვა. წინსვლა, საქმის კეთება, მიზნის განხორციელება—უბრძოლველათ უარარაოთ—ახალი გამოგონებაა. ალბათ დაავიწყდა ბ ნ როსტომაშვილს, რომ თავის პატარა, უკუდო გაზეთის გამოცემით მან ბრძოლა გამოუცხადა დიდს, კუდიან გა'ეთს, რომ ის დღესაც იბრძვის თავის გაზეთისთვის, რომ ის მთელი დღეები სტამბაში ალამებს—ნუ თუ ეს ბრძოლა არ არის? ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი ბრძენი შვილები ჰყავს. ეჭვი არაა „არარატელიც“ არ დაივიწყებს ბ.ნ როსტომაშვილის ღვაწლს და უყურადღებოთ არ დასტოვებს მის რჩევა დარიგებას.

**ნალარა.**

# დედაკაცი

ხან ვარდია, ხან კი ია,
ლამაზი და თან მორცხვედი,
და ხან კიდევ ფრთა შესხმული
მოღუღუნე ნაზი მტრედი
ხან გველია, გულ-ცბიერი,
ხან ასპიტი საშიშარი,
ხან გრძნების ზღვა ჯანღ დაკრული,
შემოდგომის ცივი ქარი.
ხან არს მყუდრო ზღვისა ყურე,
ხან ტაძარი სასოების,
წმინდა გრძნობის სახატეა
და ემბაზი ქრისტეს მცნების.
ხან ქაცვხშირი ეკალია,
გაუვალი, საზარელი,
ხან ბორკილი, მძიმე ხუნდი
და საკანი ვიწრო, ბნელი.
ხან გმირია, შეუდარო,
უპოვარი ვით არწივი,
სიამაყის ემბლემაა,
შორს, შორს სწვდება მისი სხივი.
ხან კი ღამის წყვდიადია,
ცის ღრუბელი, ძაძა შავი;
თავს დასწივის არე-მარეს,
გლოვის ზარს სცემს, როგორც ყვავი!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

# სატანის ქნარზე

(სილიუეტი)

...მაშინ ქვეყანა ისევ ქაოსს წარმოადგენდა. ადამიანს არ ეხილა ჯერ ედემის შვენება და სატანა კი მაშინაც არსებობდა. საუკუნეთა გაუმჭვირვალე ბურუსში ინთქება მისი წარმოშობა ნამდვილად არ ყოფილა ჟამი, რომ სატანა არ ყოფილიყოს. ამაოდ მოუნდომა მას იეღოვამ შემუსვრა, საფლავის მტვერიდან აღსდგა იგი. სატანამ ასწავლა ადამიანს ლტოლვა თავისუფლებისადმი, მან გადასცა ადამიანს საიდუმლო ცნობილის ხისა. დასაბამიდან იყო სატანა და იქნება.

იგი განხორციელებაა აზრისა, როცა მიწას გრძნეული ღამე ეწვევა, ძილი ყველას მოაჯადოვებს და დუმილი ჩუმი ხმით კაეშნიან ჰიმნის მღერას დაიწყებს, მაშინ ყველას სძინავს, ამბობენ რომ, ამ დროს ლიკლიკა ტალღებსაც ჩაეძინებათ. მხოლოდ მაშინ არ სძინავს სატანას და მის ქნარზე ფერხულს უვლიან ავ სულები. ამბობენ სადღაც შორს... სამხრეთის ქვეყნისკენ, სადაც უხმო უდაბ-

ნო არის გადაქიმული, არსებობს ძველი რვეული, რომელშიაც სწერია სატანას თავგადასავალიო.

...სულს მშფოთარს უარყოფისას, შეუყვარდა ასტარტა. იმდენად ძლიერი იყო მასში გრძნობა სიყვარულისა, რამდენად მომხიბლავი და წარმტაცი იყო ასტარტა... მხოლოდ ქვეყანაზე მაზე მშვენიერი არა დაიარებოდა, ანგელოსები კარგავდენ მშვენიერებას და ნათელი მოსწყდებოდა მათი სახეს როცა ასტარტას მიუახლოვდებოდენ... მჭვუნვარე მთვარე ვნებად გადაქცეული, მის გარშემო დატრილებდა, მაგრამ ვერ გაებედა ეთქვა რამე და საშინელ სევდას მარხავდა გულში. მწუხარე ეოლი მისთვის აჟღერებდა სიმებს და განუწყვეტლივ მას უმღერდა, მაგრამ მშვენიერ ასულს არ ესმოდა.

...და გადასწყვიტა სატანამ რაც უნდა გახდომოდა ის მისი უნდა შეჰქმნილიყო.

—მშვენიერო ასულო! ისმინე ჩემი ხმა, ნუ უგალებელ ჰყოფ ჩემ ვედრებას, უკვდავებას შემოგწირავ, მონებად გახლებ ჩემ უთვალავ მონათა ლეგიონს, განთიადისას შენზე ვილოცავ მე რომელმაც არ ვიცი ლოცვა, მე ვინც იელოვას არ დავემორჩილე, და გარდავლახე შემოქმედის ნება.

ტანჯვის კოცონზე დავიწვი, გულს დავიწვავ და საკმეველად გიკმევ, ყველაფერს შემოგწირავ, ყველაფერს, ოღონდ შემიყვარე... შენი ერთი კოცნა იყიდის უკვდავებას, შენი ერთი კოცნა იყიდის საუკუნეთა ბედნიერებას.

...მაგრამ ასტარტას პირზე ღიმილი უკრთოდა:

—მე არ მინდა უკვდავება შენი, რადგან ჩე მითვე ვარ უკვდავი.

—მე არ მინდა მონები, რადგან მეზიზღებიან, როგორც საფლავები.

—უშენოდაც ლოცულობენ ჩემზე მზე, მთვარე და ვარსკვლავთა ხომლი.

—მე სხვისგანაც მსმენია რომ ერთი ჩემი კოცნა იყიდის მას, რაც კი შემოქმედს გაუჩენია.

დასდუმდა ასტარტა... სდუმდა სატანაც, მხოლოდ გულში საშინელების ქარიშხალი ბობოქრებდა, რას არ მისცემდა, რას? რომ მოეჰკლა კადნიერი ასული.

—მაგრამ მასთან მეც მოვკვდები, მეც... რადგან არ შემიძლია უმისოდ ცხოვრება, ყორნის ფრთებივით ჰაერში განიავდება ჩემი უკვდავება, მაგრამ მე შურის ძიებით ვიცოცხლებ... შურის ძიებით... წაიჩურჩულა სატანამ და უსაზღვრო ეთერში შესრიალა. მისი შურის ძიებით აღგზნებული თვალები მზესავით ანათებდა წყვდიადში.

...და დაიფიცა მან დაესაჯა კადნიერი ასული.

—საფლავთა ლოდები ატირდებიან შენი ტირილით.

—ცა გოდებას მოჰყვება შენი ცრემლებისგან, გაიხარხარა სატანამ და ჯოჯოხეთში ავმა სულებმა მისცეს ბანი..

...და მონახა სატანამ მომაკვდავი, რომელიც ასტარტამ უკვდავ ჰყო თავის სიყვარულით, ამოსჭრა ბრჭყალებით გული .. მთრთოლვარე გული და ჩანგად, ველურ ჩანგად გამოსთალა, გამოაბა სიმი საშინელების და შურისძიების და მის ქნარზე აქვითინდა არე მიდამო ..გოდებდა ასტარტა, საფლავის ლოდები სტიროდენ, მეწამულ პოსპირ მოსმული ნაღველს ანთხევდა ცა

—იყავ წყეული, იყავ შეჩვენებული.

ისმოდა სევდიანი წყევლა ასტარტასი, მაგრამ სატანა მაინც მღეროდა და მის ქნარზე მოსთქვამდა ასე მიდამო. ღამე ისმენდა საშინელებას, მთვარე ღრუბლებში შეფარებული მიჯნურის ნაღველზე ზაფრანასავით ფითრდებოდა

.. და მღეროდა სატანა საშინელების და შურისძიების ჰანგებს,

—მოსთქვამდა ასტარტა.

ამისთვის არის, ბნელ ღამეში სატანას ქნარზე, რომ ასე მიდამო ქვითინს დაიწყებს ისმის უჩვეული ტირილი და გოდება, ეს სევდიანი მოთქმაა ასტარტასი.. მაგრამ სატანას შურისძიებით აღტყინებულ სულს არა ესმის რა და ღამის იდუმალებში იმარხება საფლავს პოულობს სევდიანი ძახილი კადნიერი ასულისა, ვინც გაბედა საშინელების წინამძღვარს წინ აღდგომოდა.

**ტ. ტაბიძე.**

---

## ახალგაზრდა მგოსნებს.

როს წყვდიადს ფრთა გაუშლია
ბნელში სწურავს მშობელ არეს,
ფერ-გამკრთალსა და ფერ-მიხდილს
აფრქვევს ვარამს.. სიმწუხარეს

როს ტანჯული მოძმის გული
ისევ კვნესის, ისევ გმინავს,
ფრთა ეკვეცვის, ფრთა ეჭრება
ლაღ ოცნებას აღმა მფრინავს.

როს დედა შვილს დაქვითინებს,
სატრფო მიჯნურს გულის დამწველს,
აქ ვარამი სცარავს სოფელს
და იქ სევდა ბრძოლისა ველს.

როს სატანა დახითხითებს
ჩაგრულთა და გვემულთ მხარეს,
კაეშანს გვრის, კაეშანს ფენს
გადასუდრულ არე-მარეს.

როს აღარ სჩანს განთიადი
აღარა კრთის სხივი ცაზე,
წამების ჯვარს ეზიდება
ქრისტე ღმერთი გოლგოთაზე.
როს ვაჟკაცი, ხელ შეკრული
მძიმე ბორკილს აჟღარუნებს,
ქვეყნის მტერი, ქვეყნის ერთგულთ
გამარჯვებით გადაყურებს.
როს პარტახათ ქცეულ ველზე
სიო კვნესით დასისინებს,
საგულ ლღლო—საზეიმოთ
ვერ ჩამოვკრავ ჩანგის სიმებს..
და როს სხივი, შვების სხივი
ცის კაბადონს გადასერავს,
დიად მნათის შიკრიკები
ზღვას და ხმელეთს გადაზვერავს.
გულს გაუპოხს ქვეყნის მტარვალს
გადაისრავს ამ წყვიად ბნელს.
შუქს დააფრქვევს სასიცოცხლოს
მოფენს შვებას, მოფენს ნათელს
მაშინ, მაშინ მეგობრებო!
შეიცვლება მწველი ჰანგიც,
და საიმედ-სანეტაროთ
დაიმქუხრებს ჩემი ჩანგიც.

ბ. პულიაშვილი.

---

## „ახ, რა კარგია ოცნება ტკბილი“.

ზღვის კიდეს ვიდექ ფიქრით ტყვევნილი
თვალები შორს, შორს სივრცისკენ რბოდენ
და რო არ სჩანდა ოცნების გრძნება
ცრემლები ღვარათ ჩამომდიოდენ.
უცბათ ზღვის მკერდმა მორთო ტორტმანი
აგორდა ტალღა მოვერცხლებული
და ქავლს ამოჰყვა უცხო მიონა
მთების სხივით გაბრწყინვებული.
ვით ყელ მოღერილ ნარნარმა გედმა
ზე ამოჰკიდა მწყობრი სიმღერა,
მთლათ დამავიწყდა სულის ობლობა
გულმა სიამით დამიწყო ძგერა,
და ის იყო რა დავაპირე
მისკენ გამეკრა ლაღ ფრთით კამარა,
რომ ქაფად იქცა ზვირთს შეუერთდა
ანაზდეულათ თვალთ მიმეფარა.

—

მწუხრის ჟამს ნაჭით დათრთვილულ მოლზე
გულ აღმა ვიწექ ცას შევყურებდი
სულით ობოლი, მიუსაფარი
ცისიერთ შორის სატრფოს ვეძებდი,
მართლაც ვარსკვლავთგან ჩაბმულსა ხომლში
გაიელვარეს უცხო თვალებმა,
გადამავიწყეს კაეშან სევდა
ფრქვეულმა ეშხის ნაპერწკალებმა.
და ის, ის იყო წამოვიძახე:
ვიშ უტურფესო ცისა ლაჟვარდო,
გულისა სატრფოს ვპოვე სავანე
შორს ჩემგან სევდავ, შორს ხვაშიადო,—
რომ უეცრათა ნაზ მოჟუკჟუკე
მოსწყდა ვარსკვლავი ლაჟვარდ ცის კიდურს
და გადაეშვა ცახცახით თრთოლით
შავ-ბნელ წყვდიადსა არ ყოფნის უფსკრულს.

—

მცდარ- ულმობელი სოფლით ლტოლვილი
სერზე ვიდექი დამწუხრებული
„ყოფნა არ ყოფნის“ კითხვასა ვწყვეტდი
ჰამლეტის ეჭვით აღტყინებული.
სპეტაკ ღრუბლების ქარავანზედა
უცბათ შევასწარ თვალი ტურფა ქალს,
თმებში იწნავდა, გულზე იფენდა
ვარსკვლავ-ცთომილთა სხივების ციალს.
იმედის ღიმით ტუჩი გააპო
ბაგემ სევდების ცრემლით ბანილმა,
რომ მოვწდომოდი სიო შევკაზმე
მისდამი კრძალვით ვნებით აღვსილმა,
მაგრამ კვლავ ფირუზ ზვირთებში გაჰქრა
ნაზ მონარნარე შვენება სრული
და მიმატოვა გრძნობის მგოსანი
გულს შავ კაეშნის სხივ ჩაისრული.

—

ასე კაეშნის ფრთებით ტყვევნილი
ამდუღრებულის ცრემლთა თოვითა,
მუხთალ ბედისგან კიცხულ-დევნილი
სულთქმის ქვითინით ურვა გლოვითა.
წამით ვივიწყებ სევდას დამნაცვრელს
ჩანგს ვახმიანებ სიმთა თრთოლითა,
ობოლ გრძნებით ვქმნი სატრფოს სანატრელს
და თაყვანსა ვცემ წმინდის ლოცვითა.
ვეღარ მაშინებს მქენჯნი ხითხითით
ჩემი დემონი—შავი აჩრდილი
საშიშროებით ბრჭყალთა მლესავი
რწმენის სამუსრათ ბასრ ცელ გაწვდილი.
თვალ წინ მეშლება იმედის მდელო
გულის წარმტაცათ შორს გადაწვდილი,
მყის შვების ცრემლნი მიბრწყინდებიან
„ახ, რა კარგია ოცნება ტკბილი“.

დ. თურდოსპირელი.

---

# საბედისწერო ჩუსტები

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდან).

(დასასრული. იხ. „სალ.“ № 6.)

IV.

სამსონა კვინწარიძეს სოფელ ზემოქედის მცხოვრებლების უმეტესი ნაწილი დიდ გაიძვერა, გაუმაძღარ და ხარბ გლეხათ სთვლიდა და მართალიც იყო: სხვისი სიკეთე სამსონას ყოველთვის გულს

უკლავდა. ის მუდამ იმის ცდაში იყო, რომ სხვისთვის ყველაფერში ხელი შეეშალა და თვითონ წინ წასულიყო. ყველა ამას სამსონა ისე ჩადიოდა, რომ ვერავინ შეატყობდა მის სიზორროტეს, გარეგნულად ყველას ფეხქვეშ ეგებოდა და თავის მოთაფლული ენით ხიბლავდა. როგორ შეიძლებოდა სამსონა ქორწილს ან ტირილს დაჰკლებოდა, ამიტომ იყო, რომ ზოგიერთები პატიოსან და კოჩაღ კაცად სთვლიდენ მას, მაგრამ უმეტესობამ მაინც იცოდა მისი გულის ამბავი და ეჯავრებოდათ. მეტადრე ვერ ითმენდა სამსონას სოფლის ახალგაზდობა და სძულდათ ის, როგორც სოფლის ჩარჩი და სხვი ზურგზე გამდიდრებული. სამსონასაც ეჯავრებოდა ახალგაზრდები, რადგანაც ყველა იმათ ახალთაობის კაცებად სთვლიდა, მაგრამ პირში ვერაფერს ვერ უბედავდა მათ. ახალგაზრდები კი სრულიად არ ერიდებოდნენ მას და პირში ეუბნებოდნენ: „რა ქენი კუდიანო სამსონა, ვინ მოატყუე დღესო". სამსონა ამ სიტყვებს ხუმრობათ ღებულობდა ვითომ აქ არაფერიაო. „გიტირებთ თვალებს, შიმშილით თქვენ კვდებით თვარა მე არა, ფეხზე ჩასაცმელს მე მთხოვთ, პოლიციას თქვენ სძულხართ და აბა თქვენ რაღას დამცინებთ, დასაცინარი თვითონ თქვენ ხართო",— გაიფიქრებდა, ბედით კმაყოფილი, სამსონა თავის გულში, ეშმაკურად ჩაიცინებდა ულვაშებში და ჩუსტების საკერავ ძაფს სიჩქარით სანთელს გაუსვამდა. ეჯავრებოდა აგრეთვე სამსონა სოფლის ქალებს, უფრო იმიტომ რომ სამსონა ხშირად ატყუილებდა მათ ჩუსტების ყიდვის დროს. „რა მეძვირეა იგი დასაფშუკავიო"—იტყოდენ ხშირად სამსონასაგან მოტყუილებული სოფლის დედაკაცები.

სახარაზო დუქანთან ერთად სამსონას ჰქონდა კიდევ პატარა საწვრიმანო დუქანი. აქ ის ყიდდა საპონს, დამპალ ტარანს, მარილს, სფიჩქას ნავთს და სხვა. ამას გარდა, სამსონა გაჭირვებულ სოფლელებისაგან სულ მუქთად ყიდულობდა სიმინდს, რომ მერე ის ხუთჯერ მომეტებულ ფასში გაეყიდა. სხვათა შორის სამსონას ყავდა ერთი წითელი ცხენი, რომელსაც კეხისა და უნაგირის ნადგამი ზურგზე ტყავი ჰქონდა გადამძვრალი. აი, ამ ცხენს სამსონა თუგინდ თუთხმეტჯერ გააქირავებდა დღეში, ოღონდ ფული კი წინდაწინ დაგეთვალა მისთვის. თუ ოდესმე სამსონა ვინმეს ხათრს დასდებდა და ფულს წინდაწინ არ აიღებდა, მაშინ უნდა გეყურებიათ სამსონას ცოლისათვის. ცხენის მთხოვნელის თვალ წინ ის ქმარს დაუწყებდა ლანძღვას: „როგორ ბედავ ჩემი გამოზდილი ცხენის უქირაოთ განათხოვრებასო". ამ ნაირად სამსონამ იმოდენა ფული შეიძინა, რომ ოთხი თვალი სახლი ააშენა, რვა ქცევა სახნავ-სათესი მიწა იყიდა და ოცდა ათი თუმანიც გაასესხა.

ნახა თუ არა სამსონამ დილით გატეხილი დუქანი, წამოისხა თავისი ნაბადი და ხელად მამასახლისთან გაიქცა.

„ვინცხა აქაურია, ბატონო მამასახლისო, აქაური!..—ეუბნებოდა აღელვებული სამსონა მამასახლისს.— ჩემი მეზობელი მიზამდა ამას... გადამთიელი აქ არ მოვიდოდა. ერთს გთხოვ, უფალო მამასახლისო,— ჩუმად დაუწყო სამსონამ ლაპარაკი მამასახლისს — მე ვალდებული ვიყავი, რომ გამეგებინებინა აი ამბავი თქვენთვის და ისე უკეთესი კი იქნება, რომ ნამეტარს არ გავახმიანებდეთ და მე მაცლიდეთ ჩემი მტრის მონახვას. რაცხა გული ისე მითქვამს, რომ კი მივაგნებ, ვერსად ვერ დამემალება და, ვინ იცის, თქვენ, რომ ახლა დიდი ზომები იხმაროთ ქურდის მოსანახავათ, ეგება თლად გადიკარქოს მაშვინ ამ სოფლიდან". კვინწარიძეს საქონლის დაკარგვა არც იმდენათ აწუხებდა. ხუთიოდე წყვილი ჩუსტი მისთვის არაფერს შეადგენდა. მას უფრო აინტერესებდა ქურდის ვინაობის გაგება, რომ მასზე ჟინი მოეკლა, სასაცილოდ აეგდო, შეერცხვინა, დაესაჯა და თავი ამაღლებულად და გამარჯვებულად ეგრძნო. ის დარწმუნებული იყო, რომ თავის ხელით შეკერილ ჩუსტებს, თუ კი ვინმე ჩაიცვამდა, უეჭველად იცნობდა და სწორედ ამიტომ არ უნდოდა, რომ ეს ამბავი ძალიან გახმიანებული. მწერალი და მამასახლისი მაინც წავიდენ იმ ადგილას, სადაც ქურდობა მოხთა და ოქმი შეადგინეს. სამსონამ მოიტანა დუქანში ერთი ბოთლი ჭაჭის არაყი და „ზაკუსკა" გაუმართა. ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს და შემდეგ მამასახლისი და მწერალი წავიდენ სამსონა კი თავის დუქანში დარჩა „ნეტავი მაცოდინა ვინ არის ჩემი მოსისხლე მტერი!.. სად დამემალება, ან ყვავი კი დეიძახებს და ან ბუი... დედამიწაში ჩავსდევ!" ფიქრობდა სამსონა თავის გულში და დუქანში არეულ დარეულ საქონლებს ალაგებდა.

V

კარგათ გათენებული არც კი იყო, როცა ექვთიმე ლოგინიდან წამოდგა, კარი გაალო და გარეთ გამოიხედა. დედამიწას თითქმის ერთი არშინი თოვლი ჰფარავდა. ხეები და ბუჩქები თეთრად დაბურულნი, ძვირფას და ბრჭყვიალა სამოსელში გამოწყობილი რაღაც საოცნებო სურათებს წარმოადგენდნენ. აღმოსავლეთი ვარდის ფრად ელავდა. მოწმენდილ, კაკამა ცაზე მხოლოდ აქაიქ ნაგლეჯ-

ნაგლეჯათ თეთრი ღრუბლები მოსჩანდნენ. აღარ თოვდა. ქუჩაში ჯერ არავინ სჩანდა.

„ქახ, ქახ, ქახ!" დასძახა შაშვმა თოვლით დაბურულ პატარა ქალაში და ერთი ბუჩქიდან მეორეში შურდულივით შეიჭრა.

ექვთიმეს ბევრი აღარ უფიქრია. მან საჩქაროთ ჩაიცვა ფეხზე ახალი ჩუსტები და ფქვილის მოსატანად წისქვილზე წავიდა.

გავიდა ოთხი დღე. საქმის არაფერი ისმოდა, ყველაფერი მიწყნარებული იყო, პოლიცია ხმას არ იღებდა, მხოლოდ მარტო სამსონა კვინწარიძეს არ ეძინა. ის აქეთ-იქით დადიოდა, ყველას გამოცდის კილოთი ელაპარაკებოდა და ათვალიერებდა იქნებ ვინმეს რამე შევამჩნიოვო. ექვთიმე კი ასეთმა სიწყნარემ კიდევ უფრო გაათამამა და ჩუსტებს თითქმის აღარ იცილებდა ფეხზე. არ გასულა ორი დღე, რომ ქისკარზე სოფლის იასაული მოადგა და გადმოსძახა: «ხვალ ყრილობაა და უნდა მოხვიდეო". რა თქმა უნდა სოფლის ყრილობას ექვთიმეც უნდა დასწრებოდა. სხვათა შორის მას მწერალთანაც ჰქონდა საქმე: უნდა დაეწერინებია მღვდლისათვის მისაცემი ვექსილი. მეორე დღეს, შუადღისას, ექვთიმემ ჩაიცვა თავის ჩუსტები და სამმართველოსაკენ წავიდა. „რავა ჩუსტი ჩუსტსა გავს და რა უფლება ექნება ვინმეს თქვას ჩემიაო; ღანაც ნახმარია... ვინ რას შეატყობს", — გაიფიქრა ექვთიმემ თავის გულში, როცა ჩუსტებს იცვამდა. სამმართველომდე ექვთიმეს ორი ვერსი გზა უნდა გაევლო. მისვლისათანავე ის იქ შეუერთდა გლეხების მოლაპარაკე ერთ ჯგუფს, ჩამოჯდა და ყალიონი გააბოლა.

— რას შობი ექვთიმავ, რავა ხარ? — ხმა მაღლა ჰკითხა ექვთიმეს ერთმა მაღალ-მაღალმა, გამხდარმა გლეხმა.

— რავა ვიქნები ძამია, ვათრევ გაქივრებულ სულს და ვარ.

— რავა, კაცო, აი პრისტავი აღარ მუა აწი დღეს? იკითხა ერთმა შექაღარავებულმა პატარა ტანის გლეხმა. ექვთიმემ მხოლოდ ეხლა გაიგო, რომ დღეს ბოქაულს ელოდნენ და იკითხა:

— რა საქმეზე მოდის დღეს თუ იცი პრისტავი დიანოსე?!.

— ავ კაცებს გვთხოვენ ექვთიმავ, ავ-კაცებს და ერთად შენ უნდა მიგცეთ! — გაეხუმრა ექვთიმეს მისი ნაცნობი დიანოსე და გაიცინა.

— ამ პირშავ დროში აფერი არ გამიკვირდება. — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ექვთიმემ და თან შიშმა შეიპყრო. ,,ენა არ უყივოდეს ამას, მართლა რამე ხიფათში არ გავებაო". ამავე დროს მოშორებით ჯგუფიდან ჯგუფთან მელიასავით დაძვრებოდა სამსონა კვინწარიძე, ელაპარაკებოდა რაღაცას გლეხებს და თან ყველას ათვალიერებდა.

— მწერალი არის მოსული? — იკითხა ექვთიმემ და წამოდგა.

— კი არის კი!.. რაზე გჭირია ექვთიმე მწერალი? — ჰკითხა დიანოსემ.

— რაცხა ვექსილი მინდა დავაწერიო, — წაილაპარაკა ექვთიმემ და სოფლის სამმართველოს შენობისაკენ წავიდა.

მწერალმა უარი უთხრა ექვთიმეს, ჯერ არ მცალიია და ყრილობის გათავების შემდეგ მოდიო, ის ისევ უკან გამობრუნდა და ის იყო სამმართველოს აივნის კიბიდან ძირს ჩამოდიოდა, რომ ამ დროს მისკენ ნელი ნაბიჯით კვინწარიძე წამოვიდა. ექვთიმე მოულოდნელად საშინელმა შიშმა შეიპყრო. მას თითქო მეხი დაეცა სამსონას დანახვაზე; უნდოდა გვერდი აექცია, მაგრამ გვიანღა იყო. სამსონა უკვე მიუახლოვდა.

— გამარჯობა ექვთიმე შენი! — ცბიერათ მიესალმა სამსონა, ხელი ჩამოართვა და თან ფეხებზე დაუწყო ცქერა.

— ექვთიმე-ე! — რაღაცა სხვანაირი ხმით დაიწყო სამსონამ. — ექვთიმეს მწუხარების ოფლი დაასხა. ის მიხვდა რომ სამსონას რაღაცა ცუდის თქმა უნდოდა — ექვთიმე-ე, სად გქონდა შენ ეს ჩუსტები? — გესლიანად ჰკითხა კვინწარიძემ და ჩუსტებს თვალს არ აშორებდა. ექვთიმე შიშით დაიბნა, ენა დაება. ბოლოს ძლივს წაილუღლუღა.

— აგი... აგი... ვიყიდე სამსონ ვიყიდე სამსონ... ვიყიდე...

— ექვთიმავ, აიგი ჩუსტები ჩემია! — დაბეჯითებით წარმოსთქვა სამსონამ და თავმოწონებით იქით აქეთ მიიხედ-მოიხედა. რადგანაც კვინწარიძემ უკანასკნელი სიტყვები კარგა ხმა მაღლა წარმოსთქვა, ამიტომ იქ მყოფმა სოფლელებმა გაიგონეს და ექვთიმეს და სამსონას გარს შემოერტყენ.

— აგი ჩუსტები ჩემი შეკერილი არის და მე ვიცი, რომ შენ ჩემგან არ გიყიდია, — განიმეორა სამსონამ, დაიკუზა და დაურიდებლად ექვთიმეს ფეხზე ჩუსტების სინჯვა დაუწყო.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავია აგი ჩემს თავზე?!. რა დამემართა!!. მწუხარებით წამოიძახა ექვთიმემ და ტირილით იქვე ჩაიკეცა. სამსონა არ ეშვებოდა; მან ცალ ფეხზე უკვე წააძრო ჩუსტები, დახედა ზედ და ხმა მაღლა დაიძახა:

— აი, ნამდვილი ჩემი შეკერილი ჩუსტები!.. შეხედეთ ვინ ყოფილა ძმებო ჩემი მოსისხლე მტერი-ო"!. სამსონა ახლა მეორე ჩუსტებს მივარდა და ისიც საჩქაროთ წააძრო.

ამ ამბავმა ყველა გააოცა. ექვთიმედან ამგვარ საქმის ჩადენას არავინ არ მოელოდა. „ტფუ! არაფერი არ უნდა დეიჯერო კაცის... სანდო აღარავინ ყოფილა“-ვო, წარმოსთქვა ერთმა სოფლელმა.

— რა ღმერთი გამიწყრა ბიჭო, ექვთიმავ!.. არ გრცხვენია მაგიზა?—შესძახა ექვთიმეს ერთმა მისმა ერთგულმა ზემობელმა.

— დაახრჩვეთ მაგი ქურდი, დაახრჩვეთ!.. სხვა მაწუხებელი არ გვეყოფა ჩვენ?—წამოიძახა აზნაურმა ონისიმე კუდალაძემ.

ბევრს შეებრალა ექვთიმე, როცა ამ გვარ ყოფაში დაინახეს, მაგრამ გამოსარჩლებას ვერავინ ბედავდა რადგანაც ყველას დაჭერისა და გამათრახების ეშინოდა. ამიტომ ყველანი სდუმდნენ და ერთმანეთს ჩურჩულით ეუბნებოდნენ: „კაცო, რავა ვიფიქრებდი აგი საცოდავი ექვთიმე თუ ამფერ საქმეს ჩაიდენდაო‘. ზოგს ბრაზიც მოსდიოდა და ამბობდნენ: „ტყავ გასაძრობია ტყავ გასაძრობიო“.

— ნუ დამღუპავთ... შეიბრალეთ ჩემი წვრილი ცოლშვილი.. უდანაშაულო ვარ..მე...არ მიქნია... ფეხშიშველა ვიყავი .. ფეხშიშველა ვიყავი... ღმერთი იწამეთ... ნუ. . ნუ დაიღებთ ჩემი შვილების ცოდვას.. ნუ დამღუპავთ—ტირილით ამბობდა ის და თვალებზე დაკონკილი ახალუხის კალთას იფარებდა. ექვთიმე ვერ ამჟღავნებდა თუ როგორ იშოვა მან ჩუსტები, რადგანაც იცოდა, რომ ყაჩაღების შენახვისთვის მას უარეს დღეს დააყენებდენ. ამ დროს ეს ხმაურობა მამასახლისმაც გაიგონა

— რა ამბავია აქ—იკითხა მან და შეკრებილ ხალხისაკენ გაეშურა. მას თან გაჰყვენ დარაჯები და სოფლის მოხელეები.

— ჩუსტების ქურდი აღმოჩნდა ბატონო, მამასახლისო, ჩუსტების ქურდი!—მიახალა მთავრობის მამასახლისს ონისიმე კუდალაძემ.

— ვინ? სად?—მოუთმენლად იკითხა მამასახლისმა და დარაჯებით იმ ადგილას შეიჭრა, სადაც საჯაროთ შერცხვენილი, ცოცხალ მკვდარი ექვთიმე ეგდო და კმაყოფილი სამსონა კვინწარიძე ჩუსტებით ხელში თავზე ადგა.

— ესა?..უჰ, შენი...—უწმაწური სიტყვებით მიმართა მამასახლისმა ექვთიმეს, ქამარზე ჩამოკიდებული მათრახი მოიმარჯვა და რამოდენიმეჯერ გადააკრა. „შენ ავაზაკო! დაგავიწყდა ამას წინად რომ გითავაზე? როგორ გაბედე შენ მუტრუკო დუქნის გატეხა, როგორ!!! აეთრიე ზევით!!.—უყვიროდა მამასახლისი ექვთიმეს.

ექვთიმე ძლივს ძლივობით წამოდგა; რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ მამასახლისმა ხელ-ახლა შეუტია:

— ხმა!., შენ საძაგელო!!! წაიყვანეთ ეხლავე და დაამწყვდიეთ!.. უბრძანა მან დარაჯებს. დარაჯებმა მათრახი მიაყოლეს.

—„ბარემ მომკალით... მომკალით. . ღვთის გულისათვის. . ნუღარ მაწვალებთ... ნუღარ მტანჯავთ, საცოდავათ ამოიგმინა მან მაგრამ მას ყურს არავინ უგდებდა. დარაჯებმა ის მიიყვანეს ბნელ და ცივ ოთახის კარებთან, ცემით შეაგდეს შიგ და კარები გამოუკეტეს.

ამ საზარელმა სცენამ ბევრს აღუძრა გულში ექვთიმეს სიბრალული ბევრი წყევლა-კრულვით იხსენიებდა სამსონა კვინწარიძეს, რომელმაც ასე შეუბრალებლად დაღუპა საწყალი კაცი, მაგრამ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა გულჩათხრობილნი ბოქაულის მოსვლას უცდიდნენ. ცოტა ხანს უკან ბოქაულიც მოვიდა. მამასახლისმა „რაპორტი“ მიართვა ერთი ავაზაკის დაჭერის შესახებ და შემდეგ სამმართველოს აივნის ახლოს ხალხს მოუხმო. აივანზედ გადმოდგა ბოქაული წუწკურიძე და რიხიანის ხმით დაიწყო:

— მე ამბები მომდის და თითონაც დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს საზოგადოებაში ბევრი მავნე და მთავრობის მოწინააღმდეგე პირები ბუდობენ. მე თქვენ გიბრძანებთ დაასახელოთ, დაიჭიროთ ასეთი კაცები მთავრობას გადასცეთ დასასჯელათ თუ არა და იმათ მაგივრად თქვენ დაისჯებით. ჯამაგირიან მამასახლისს და დარაჯებს თქვენ არ მოგხსნით, სანამ თქვენს საზოგადოებაში ავ-კაცობა არ მოისპობა. გირჩევნიათ დაასახელოთ ცუდი კაცები“—ბოქაული წუწკურიძე აქ შეჩერდა და ხალხისაგან პასუხს უცდიდა, მაგრამ ჯერ ხმას არავინ იღებდა.

— არაფერს იტყვით“—დაუყვირა მამასახლისმა შეკრებილ ხალხს.

ამ დროს გაისმა ვიღაცის გესლიანი ხმა:

— ბატონო, ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ კიდევაც მავნე კაცების თავიდან მოშორებას. ჩვენ დღესაც დავიჭირეთ და გადმოგეცით ერთი ცუდი კაცი. ეს კაცი არის ექვთიმე წკირაძე. დღეს ის ვნახეთ და გადმოგეცით, ხვალ მეორეს ვნახავთ, მეორეს გადმოგცემთ და, ამ გვარად ვეცდებით თქვენი ბრძანება ავასრულოთ».—

— ააშენ ღმერთმა —კარგათ ამბობს. —მართალია ბატონო მართალი. გაისმა აქა-იქ ხალხში.

— მაშ გვაძლევთ პირობას, რომ აღარ დაინდობთ ამგვარ ავაზაკებს და მავნე პირებს?—კვლავ შეეკითხა ბოქაული წუწკურიძე და ლეკური გაისწორა.

— გაძლევთ, გაძლევთ!—იგრიალა ხალხმა.

წუწკურიძემ რაღაც უბრძანა მამასახლისს, შემდეგ ისევ ხალხისაკენ მობრუნდა და, ეხლა მეორე ბრძანების გაცემას შეუდგა.

VI

მეორე დღეს ექვთიმე სამაზრო ციხეში უნდა გადაეყვანათ. თმა გაწეწილი და სახე დასისხლიანებული ირინე სამმართველოს წინ იდგა და ტირილით ხან ერთს და ხან მეორე დარაჯს ემუდარებოდა:

— მიჩვენეთ . მიჩვენეთ იგი უბედური...ერთი შევხედო... ეგება შია... წყურია... ცივა... ნუ მომიკლავთ... ცოდვა არის... არაფერი არ დაუშავებია.

— დაიცადე დედაკაცო! ნუ შეაწუხე აქაურობა!.. მარტო შენი თავი ხომ არ გონია!! წასაყვანათ გამოვიყვანთ და შეხედე მაშინ, თუ ასე გიყვარს", — დაცინვით ეუბნებოდა დარაჯი გამწარებულ ირინეს.

დილის რვა საათზე ორმა დარაჯმა შეაღო ოთახის კარები, რომ გამოეყვანათ ექვთიმე წკირაძე და შემდეგ საზარელ სურათს წააწყდენ, ექვთიმე ყელ გამოღადრული იატაკზე ეგდო და სისხლში სცურავდა. უბედურს პატარა მახვილი დანით, რომელსაც ის ქარქაშით წელზე ატარებდა და რომლის ჩამორთმევა დარაჯებს დავიწყებოდათ, ყელი გამოეჭრა. ამ სანახაობამ დარაჯები თითქო შეაკრთო, მაგრამ უცბათ გონს მოვიდენ, საცოდავათ მოკუნტულ ექვთიმეს ველურათ ფეხებში ხელი წაავლეს და დაკლულ ღორივით გარეთ გამოათრიეს. ირინემ საშინელის ხმით შეჰკივლა და უსულოთ ძირს დაეცა.

**ანათემა.**

---

# იმედი

თუმცა ჩემი ცხოვრების ცა
კვლავ შავ ღრუბლებს შეუმოსავს
და ვარსკვლავი სიხარულის
არ ციმციმებს, აღარ მოსჩანს,
ვამჩნევ წყდება ძაფი ყოფნის,
შრება წყარო სიცოცხლისა,
ყვავ-ყორანნი დამჩხავიან,
ხმა საზარი კვლავ მესმისა,
მაინც ჩემს ნავს, მეზღვაური
ცხოვრებისა მღელვარ ზღვაზე
ხელს არ უშობ-არ ვაჩერებ,
დავფარფატებ ზვირთებს თავზე.
მაინც არ ვარ უმოძრაოდ:
ძალ ღონითა უსვამ ნიჩბებს
და ხმას ვასტყენ სანუგეშოს
ჩემებრ ჭირში მყოფ მეგობრებს.
და რომ ვისმენ გამოძახილს
ტანჯულთაგან იმედიანს,
ვხედავ ისევ ტალღებისგან
ჯერ არ უშავს ჩემ ერთგულ ნავს.
ხსნის იმედი ჩემთან არის,
შიში ძრწოლა მიქარწყლდება
და ქვეყანას მომავლისას
ვხედავ, ვხედავ რომ ბრწყინდება.

**ს. ქურიძე.**

---

# თეატრი

## ქართული საღამო ბაქოში.

ორ თებერვალს, ადგილობრივ საზოგადო საკრებულოში ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბაქოს ფილიალურმა განყოფილებამ ჩვეულებრივი „ქართული საღამო" გამართა რიცხვით ეს „საღამო" მეოცეა. ბაქოს „საზოგადოება" ასეთს საღამოებს უკვე შეჩვეულია და ისე უყურებს, როგორც აუცილებელს, სავალდებულოს. როგორც სჩანს, ადგილობრივი ქართველი „მოღვაწენიც" ასე უყურებენ ამ საღამოს: ისინი ვალდებულათ სთვლიან თავს, რათაც არ უნდა დაუჯდეთ, „საღამო" გამართონ და რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება:

ერთათ-ერთი გამამართლებელი საბუთი, რომელიც აქვს ნაციონალურ საღამოებს, მდგომარეობს იმაში, რომ ასეთმა საღამოებმა დამსწრე უცხო საზოგადოებას უნდა გააცნოს ესა თუ ის ერი, უჩვენოს ამ ერის უფრო დამახასიათებელი თვისებები და მხარეები. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ნაციონალური საღამოები იმართება იმ ადგილებში, სადაც წარმოდგენილი ერი უმრავლესობას არ შეადგენს.

და რაკი ეს ასეა, ასეთი „საღამოების" გამმართველებმა უპირველეს ყოვლისა ასეთი კითხვა უნდა მისცენ თავს: შეგვიძლია თუ არა, მივსცეთ დამსწრე საზოგადოებას რაიმე ახალი, მართლაც დამახასიათებელი ჩვენი ხალხის თვისებიდან, შეგვიძლია თუ არა, „საღამო" იყოს ჩვენი ხალხის თვისებათა ნამდვილი გამომხატველი და არა კარიკატურა?

ამასთან, ისეთი პირები, რომლებიც ასე უყურებენ „საღამოს", როცა გამოარკვევენ, რომ მათ შეუძლიათ ამ დანიშნულების განხორციელება, ეცდებიან, რომ „საღამოს" დაესწროს სხვა ეროვნების ნამდვილი „ხალხი", დემოკრატიული ნაწილი, ვი-

ნაიდან, სწორედ ეს ნაწილია უფრო დაინტერესებული სხვა ერთა გაცნობაში და დაახლოვებაში.

ასეთია ორი მთავარი პირობა ნაციონალური „სალამოებისა". თუ პირველი არ არის—მაშინ არ არის თვით ნაციონალური „სალამო", თუ მეორე არ არის მაშინ ეკარგება ამ სალამოს პრაქტიკული მნიშვნელობა, თუნდაც პირველი პირობა შესრულ-ლი იყოს.

უკანასკნელი „ქართული სალამო" კი მოკლებული იყო პირველსაც და მეორესაც.

ავიღოთ თუნდ ის გარემოება, რომ „სალამო" დაიწყო ყოველივე აზრიანობას მოკლებულ, დახავსებულ ვოდევილით—„სამოცი წლის არშიყი". ვისაც ქონია ბედნიერება ამ „წარმოდგენების" გაცნობისა, დაგვეთანხმება, რომ ამით უცხო საზოგადოებისთვის „თავის გაცნობა" ნამდვილი დათვური სამსახურია...

„პიესის" დასრულების შემდეგ აიხადა ფარდა და სცენაზე დავინახეთ „გადაკაპიწებული" ყმაწვილები' რომლებიც „ქეიფობდენ" „ქართული სუფრის" გარშემო...ეს თურმე „სამოცი წლის არშიყობისთვის" მიემატებიათ ერთი სცენა—„ქორწილი". აქ, რასაკვირველია, ჩამოუარეს, ლეკური, შეიძახეს „ქართველურათ" ჰაი, ჰეი! წაიქცა რამდენიმე „მთვრალი" ყმაწვილი და ფარდაც დაეშვა.

შემდეგ ზ. ახობაძემ წაიკითხა ქართულათ აკაკის ლექსი რუსთაველის შესახებ, ხოლო ბ-ნ მუსსურმა—ბარათაშვილის „მერანი" რუსულათ.

ხორომ შეასრულა რამდენიმე ხალხური სიმღერები. იმღერა ბ-ნ ნანობაშვილმა რამდენიმე ქართული და რუსული რომანსი და სალამოს პროგრამაც დასრულდა.

ახლა ვიკითხოთ: ყველა ამაში იყო ისეთი რამ, რომელიც ახასიათებს ჩვენი ხალხის დღევანდელ ცხოვრებას?..

ქართული ხალხი უკანასკნელი წლების განმავლობაში არსებითად შეიცვალა. მან გამოიმუშავა და გვიჩვენა კიდეც მრავალი ახალი თვისებები, მრავალი ახალი სულიერი სწრაფვანი. და დღეს მას არა თუ აღარ ახასიათებს ლეკური და ქეიფი, არამედ პირდაპირი დაცინვაა მისი, აშკარა გაღიზიანებაა იმ წყლულებისა, რომელიც მას ლეკურიდან და ქეიფიდან უფრო მაღალ, უფრო კეთილ-შობილ მიზნებისკენ იზიდავს... ვერ გამოხატავს მის დღევანდელ სულიერ განწყობილებას ისეთი სიმღერები, როგორიც არის კარაევის „სამშობლო", თუნდ ისეთი ცეკვა, როგორც არის „გოგონა"... ყველა ეს მოტივები ხალხმა შექმნა სხვა დროს და სხვა პირობებში... უკანასკნელათ, არც დუქანია მისი დამახასიათებელი.. შეიძლება ყველა ამას ერთ დროს ქონდა რაიმე აზრი, მარა დღეს საშინლათ ძველია, დრო მოჭმულია.. რაც გუშინ ვნახეთ, ის დღეს აღარ გამოდგება.

მარა ჩვენი ქართველი „პატრიოტები" ამას არ დაგიდევენ. რა ვუყოთ, რომ „სალამო" მხოლოდ კარიკატურა იქნება; რა ვუყოთ, რომ დამსწრეთ სისულელით გავუმასპინძლდებით!.. სამაგიეროთ, არის კიდევ სხვა მიზანი—ქველმოქმედება!.. დიახ, „სალამოს" პროგრამაში მსხვილი ასოებით სწერია „ბაქოს განყოფილების სასარგებლოთო"... ამიტომაც არის, რომ სალამოს ბილეთები საშინლათ ძვირია და, მაშასადამე, დემოკრატიას დასწრება არ შეუძლია... მაგრამ ეს ან კი რა საჭიროა? აქ, საჭიროა მოვიდეს „მაღალი საზოგადოება", აქ საჭიროა მოვიდეს ნავთის მეფეები თუ არა, მისი მსხვილი მოხელეები მაინც; აქ საჭიროა მოვიდეს ბაქოს ბიუროკრატია და მცონარე ინტელიგენცია. ეს კი, როგორც მოგეხსენებათ, ისეთი ხალხია, რომელსაც დიდი პრეტენზია არა აქვს. ის გააცინე, აცეკვავე, მიუჩინე „დამები", რომელთანაც „სიამოვნებით" გამოიჩენენ „გულ-უხვობას" და თითო თეფშ ღომს სამ მანეთათ იყიდიან,—და სხ. არაფერი!... „ქართული სალამო" გათავებულია, ყველა კმაყოფილია! ერთი დახლს ათვალიერებს, მეორე სიამოვნებით იგონებს იმ წუთებს, როცა მუსიკით გაბრუებული, გონება დაკარგული მიაქროლებდა თავის სატრფოს „პარკეტის" იატაკზე...

ერთი სიტყვით, ამ „სალამოებს" არაფერი „ქართული" და ხალხური არა სცხია რა. ის არც ხალხისთვის იმართება. ეს უნდა ვიცოდეთ—და სხვა არაფერი. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. სრული უფლება აქვთ, როგორც უნდათ, ისეთი „სალამო" გამართონ, ვისაც სურთ, მათ მისცენ ადგილი ამ მათ „ნამოღვაწევებზე". მხოლოდ არ შეგვიძლია ერთი სურვილი არ გამოვთქვათ: რომ მორიგი სალამო სხვა, უფრო შინაარსის შესაფერი „ფირმით" გაემართონ.

უკანასკნელათ, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგ გარემოებას:

ჩვენ წინადადება მივეცით განყოფილების გამგეობას, მიეცა ჩვენთვის ადგილი „სალამოზე", როგორც ქართული ჟურნალის წარმომადგენლისთვის. გამგეობამ უარით გვიპასუხა. „სალამო" საქველმოქმედოა, ხარჯები ბევრი გვაქვსო, და თან დაუმატეს არც ერთი გაზეთის წარმომადგენელი არ იქნება დაშვებულიო. მართალია ამ შემთხვევაში ასეთი მოსაზრებები ვერაფერი საბუთია, მაგრამ ჩვენ გავჩუმდით ვინაიდან, როგორც გვითხრეს, უარი მიმართული იყო ყველა რედაქციებისადმი.

მაგრამ დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს საბუთი, რომლითაც მტკიცდება, რომ ადგილობრივმა რედაქციებმა გამგეობისგან მიიღეს მოწვევის ბარათი და თავიანთი წარმომადგენელიც გაგზავნეს „სალამოზე“. მაშასადამე, გამგეობამ ჩვენ ტყუილი გვითხრა და უსაბუთოთ არ მოგვცა ის ადგილი, რომელიც საერთოდ მიღებული წესით გვერგებოდა *).

მოსაზრება, რომლითაც გამგეობა ასეთ არა საკადრის საქციელს სჩადიოდა, ადვილათ ასახსნელია „სალამური“-ს მკითხველთათვის...

**ბესო.**

---

# მოწერილი ამბები.

(პროვინცია)

**ქუთაისი.** წრევანდელმა ზამთარმა არვინ არ დასტოვა, რომ არ ეგრძნობინებია თავისი ძლიერება. სხვა სიკეთესთან დიდი თოვლის გამო ქუთაისში მოემწყვდენ რაჭა-ლეჩხუმის მასწავლებელნი და აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდენ. ქუთაისიდან მიმავალ გზა-ტკეცილზე მიმოსვლა 6 იანვრიდან უკვე შეწყვეტილია. სხედან მასწავლებლები სასტუმროებში და უკიდურეს მდგომარეობას განიცდიან. ამას წინათ ფეხით გაემგზავრა 4 მასწავლებელი. მიაღწიეს თუ არა თავიანთ ადგილს არავინ იცის. ეს რამდენიმე დღეა თოვლი სწრაფად დნება. ქუჩებში მიმოსვლა სახიფათო შეიქნა. მოსალოდნელია წყალდიდობა.

**ია. გეწია.**

—

**ბათუმი.**—ყოველ წლობით ბათუმის ქართველი საზოგადოება მართავს ქართულ სადამოს თოთხმეტ იანვარს. ამ სადამოს შემოსავალის დანიშნულება ადგილობრივი ქართული სკოლის შენახვაა. წელს ცუდი დარების გამო ეს სადამო 5 თებერვლისათვის გადაიდვა. ამ დღეს ქუთაისიდან მოწვეული იყო მსახიობი კ. მესხი. უნდა ეთამაშნათ ვოდევილი „სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა“ ბ. მესხი უნდა ჩამოსულიყო 4 თებერვალს, მაგრამ იმ ხანებში მატარებლების მიმოსვლა შეფერხებული იყო და ამის მიზეზით ჩამოვიდა 5 თებერვალს შვიდ საათზე. მომზადება კიდევ შეიძლებოდა, რომ თერძს, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ტანისამოსის შეკერვა, ხელი არ შეეშალა, ის დამთვრალიყო და ვეღარ ნახეს. ამ გვარათ დედა ბოძი სადამოისა, ყველას სურვილის წინააღმდეგ ჩაიშალა და მით გაქრა ქართული ელფერიც; რამაც, ცოტა არ იყოს უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოებაში. ამ სადამოზე საყურადღებო ბევრი რამ მოხდა, მაგრამ დაწვრილებით მის აღნუსხვას არ შეუდგებით, ვიტყვით მხოლოთ, რომ სადამომ მოლოდინი ვერ გაამართლა და ერთხელ კიდევ დაგვანახვა ჩვენი აელადიდება.

როგორც ვიცით ბათუმში, მაკ-წირთან საბრძოლველათ, არსებობს თაგვთა-მჭირავი რაზმი (ОТРЯДЪ КРЫСОЛОВОВЪ). 4 თებერვალს ხმოსანთა კრებას მოხსენდა ერთი თვის ანგარიში ამ რაზმის მოქმედებისა. გამოირკვა, რომ რაზმის შენახვა და თაგვების გასაწყვეტი საშვალების შეძენაში დაუხარჯავს ქალაქს ერთი თვის განმავლობაში 995 მანეთი და 56 კაპ. ხოლო ამ რაზმს გაუწყვეტია ამ ხნის განმავლობაში 151 თაგვი. (ამდენს თაგვს ბარცხანის მეწისქვილეც კი ხოცავს თვეში). ე. ი. თითეული თაგვის დახოცვაში დაუხარჯავს ქალაქს ექვსი მანეთ ნახევარზე მეტი. ამ გარემოებამ გამოიწვია შტატის შემცირება; ხოლო ხმოსანთა კრებამ დაავალა ქალაქის გამგეობას მოაწყოს ლექციები მაკ-წირზე, შეიძინოს თაგვის საჭერი მახეები და სხვ., მასთან კრებამ დაავალა გამგეობას სასჯელი მისცეს ყველას, ვინც ლაბორატორიაში ჩაიყვანს დაჭერილ თაგვს. აქ საყურადღებო ხმოსანი გიორგი მაგრაბულოს რეჩი იყო. ის გადაჭრით მოითხოვდა ერთი მანეთით დაჯილდოებას თითოეულ დაჭერილ თაგვში.— მაგრამ თავმჯდომარემ მოაგონა ოდესის ქალაქის თვითმართველობის დადგენილება და მისი შედეგები და გიორგიმაც ხმა ჩაიკმინდა.—დიდი ვამათი გამოიწვია თოვლისაგან ქუჩების დაწმენდამ. კრებამ გადასდო ხუთასი მანეთი განსაკუთრებულ საჩქარო საჭიროებისათვის. ქუჩების და ეზოების დაწმენდა დაავალა სახლის მეპატრონეებს.— დიდი მითქმა-მოთქმაა გამგეობის წევრის მოადგილეზე, ჯერ-ჯერობით თორმეტამდეა კანდიდატი. — შვიდს და რვას თებერვალს თოვლმა თვალსაჩინოთ დაიკლო; მაგრამ, ბათუმის ქუჩებში კვლავ სახიფათოა გზა.

**:სვანელი.**

—

**აბედათის საზოგადოება** (სამეგრელო). აბედათის საზოგადოება სამი სოფლისაგან შესდგება: ჯოლევი, კოუთი და აბედათი, ამ სამ სოფელში სცხოვრობს 900 კომლამდე გლეხობა. სიღარიბეს, გაუნათლებლობას და სხვას, აქ მკვიდრი ნიადაგი აქვს. აქაურ გლეხს საკუთარი მიწა ძლიერ ცოტა აქვს, ამიტომ თავადის მიწებზე უხდება მუშაობა და ისინიც საგსებით სარგებლობენ ამ შემთხვევით. 1909 წლამდე აქაურ გლეხობას დიდ სარგებლობას აძლევდა ეგრეთ წოდებული „მარსილის მინდორი“, რომელიც მდებარეობს მდ. აბაშასა და ტიხელის ნაპირებზე. წინათ ამ ადგილების გლეხები პატრონობდნენ: ხოლო 1909 წელს თავი წამოჰყვეს თავ. დადიანებმა და მოინდომეს ხელში ჩაგდება. დაიწყეს საჩივარი სადაც სასამართლო-

---

*) სასტიკ გულის წყრომას ვაცხადებთ, რომ ბაქოს ქ. შ. წ. კ. გ. ს. ასე უდიერათ მოქცევია ჩვენ კორესპოდენტს ზრდილობა მოითხოვდა პირდაპირი მიზეზი დაესახელებია მისთვის და ლობე-ყორეს არ მოსდებოდენ. ხანდისხან ზრდილობაც კაი საქონელია.

რედაქცია.

ში და მოიგეს კიდეც. გლეხებმა პალატაში გაასაჩივრეს. საქმე ჯერ არ გათავებულა, დადიანებმა საქმის გათავებას არ დაუცადეს მიუხდნენ გლეხებს და მოტეხილი სიმინდი წაართვეს. მაშინ აღარ უნდოდათ გლეხებს მუშაობის დაწყება, მაგრამ გამოჩნდნენ თითო-ოროლა პირობა დაარღვიეს, ზოგმა კიდეც შეისყიდა თითო ნაჭერი მიწა. ჩვენი გლეხობა ჯერ კიდევ ბატონ-ყმურ პირობებში დაჰყავს სულს. შიმშილი სიცივე, გაუნათლებლობა და სხვა ამგვარი სიკეთე ყველა ერთად თავს დასწოლია და სიცოცხლეს სწურავს. ასეთ მდგომარეობიდან გამოსახსნელად საჭიროა შეგნებული ხალხის ინიციატივა და რაიმე კულტურულ დაწესებულების მოწყობა, მაგრამ ამაოდ, ყურს არავინ იბერტყავს. ასე გაჭირვებულად სწევს გამწარებულ ცხოვრების ჭაპანს ჩვენი უბედური გლეხობა და ხსნა კი არსაით არის.

ცაბუ.

---

**დ. ბორჯომი.** იმ დროს, როდესაც საზოგადო ცხოვრების ღელვამ უმწვერვალეს წერტილს მიაღწია და ხალხი შეგნების გზას დაადგა, დ. ბორჯომმაც გამოიღვიძა. ხალხმა საჭიროდ დაინახა კულტურულ გზაზე შედგომა. გამოჩნდნენ გულშემატკივარნი, რომლებმაც განიზრახეს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება. შეიმუშავეს პროექტი და შეუდგნენ ამ კეთილ საქმის დასაგვირგვინებლად ფულების შეგროვებას. სულ შეგროვდა 70 მ. ეს ფულები ჩააბარეს ბ-ნ ი. ხოტევარს. ამ შეგროვილ ფულებს გარდა ინიციატორები დებულობდნენ სასწორის შემოსავალს წელიწადში 100 მ. შეიცვალა დრო და ამ საკეთილო საქმესაც ჩაიდუღლის წყალი დალია. როგორც დანამდვილებით გავიგეთ სასწორის შემოსავალს განაგებს ბლაღოჩინი მამა იაკინთე და საესებით ეკკლესიას ახმარს ამ შემოსავალს. საკვირველია, ნუ თუ მამა იაკინთემ არ იცოდა რა დანიშნულება ჰქონდა ამ შემოსავალს?! მამა იაკინთემ კარგად იცოდა ეს და რას მივაწეროთ ის გარემოება, რომ ეკკლესიას ახმარს ამ შემოსავალს. კარგს ინებებენ ბ. ბ. იაკინთე და ხოტევარი გვაცნობებდნენ რა ბედი ეწვია იმ 70 მანეთს და რა უფლებით მიუთვისებიათ მათ სასწორის შემოსავალი? ზემოხსენებულნი პირნი ვალდებულნი არიან ეს ფულები უკვე არსებულ ქ. შ. წ. კ. გ. ს. ბიბლიოთეკას გადასცენ.

**რაჭველი მოსთაშვილი**

---

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა

# „შ რ ო მ ა“

ღებულობს ყოველგვარ საბეჭდავ საქმეებს:
წიგნებს, გაზეთებს, ბლანკებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. ქართულ და რუსულ ენებზე.

საქმეებს ასრულებს სუფთად და სწრაფად.

ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში.

**ქართული წარმოდგენა**

საყველიერო რეპერტუარი

შაბათს, 19 თებერვალს, სათავად-აზნაურო თეატრში
წარმოდგენილი იქნება

დ ი ლ ი თ

## კაკო ყაჩაღი

ილია ჭავჭავაძის პოემა სურათებად და დეკლამაციით.

## გლახა ჭრიაშვილი

სცენა ბატონ-ყმობის დროიდან 1 მოქმედებათ ი. ჭავჭავაძისა.

**რეფერატი და ლიტერატურული განყოფილება**

---

კვირას, 20 თებერვალს, **ვ. ალექსი მესხიშვილის**
მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

დ ი ლ ი თ

## ედმონდ კინ

(გენიოსი და სალახანა)

კომედია 4 მოქმედ. ალ. დიუმასი.

**სალამოთი უკანასკნელი წარმოდგენა**

1) მსხვერპლი  2) მონადირე (ოთხი იმერელი)

პიესა 3 მ. ი. გედევანიშვილისა. პიესა 1 მოქ. დ. მესხისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

---

## იყიდება

მლიერ დაკლებულ ფასებში

**შემდეგი გამოცემანი:**

1) „**ეშმაკის მათრახი**“ 1908 წლისა. (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში 1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიემატება—50 კ.

2) „**მათრახ სალამური**“ 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) „**ეშმაკის მათრახი**“ 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)—1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) „**ალმანახები**“ 1909 წელში გამოცემული: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯოხეთი“, „ეშმაკის მათრახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.